სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 ივნისი, 2024 წ.

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N 07-01/38

ბსუ-ს საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში და საველე პრაქტიკაზე ბსუ-ს სტუდენტთა მონაწილეობის დაფინანსების წესი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N638515, 07/06/2024წ.), წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და საბჭოს სხდომის ოქმის (N07-02/06, 13/06/2024) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ,,**ბსუ-ს საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში და საველე პრაქტიკაზე ბსუ-ს სტუდენტთა მონაწილეობის დაფინანსების წესი** (წინამდებარე გადაწყვეტილების **N1 დანართი).**
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ქვეყნის შიგნით საველე პრაქტიკაზე, სტუდენტურ კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებზე მათი მონაწილეობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე“ **წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება N09 გადაწყვეტილება** (ცვლილება - წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 05 მაისის N09 გადაწყვეტილებით).
3. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტები“ და ,,წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები“).
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 13 ივნისის N07-01/38 გადაწყვეტილების
N1 დანართი

ბსუ-ს საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში და საველე პრაქტიკაზე ბსუ-ს სტუდენტთა მონაწილეობის დაფინანსების წესი

1. წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ,,ბსუ" ან ,,უნივერსიტეტი") **საგანმანათლებლო** (კონფერენციები და სხვა), **კულტურულ** (შემოქმედებით) **და სპორტულ ღონისძიებებში** (შემდეგში - საუნივერსიტეტო ღონისძიება) **და საველე პრაქტიკაზე** ბსუ-ს სტუდენტთა და სპორტული/კულტურული/შემოქმედებითი გუნდების მონაწილეობისთვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების (ხარჯების ანაზღაურების) რეგულაციას.
2. წინამდებარე წესით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო ღონისძიება/საველე პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს: ქვეყნის შიგნით (საქართველო) ან ქვეყნის გარეთ (სხვა ქვეყანაში).
3. საუნივერსიტეტო ღონისძიების/საველე პრაქტიკაზე სტუდენტთა მონაწილეობისათვის ბსუ-ს ფაკულტეტის/სტრუქტურული ერთეულის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება, რომლითაც განისაზღვრება ღონისძიების/საველე პრაქტიკაზე მონაწილეობის ხარჯები, შემდეგნაირად:

3.1. **ქვეყნის შიგნით** (მათ შორის ბათუმიდან 30 კმ-ის შიგნით) **გასაწევი ხარჯები:**

ა) დღიური ხარჯის სახით - <u>არაუმეტეს 30 ლარის</u> ოდენობით (უქმე/სადღესასწაულო/გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების გამოურიცხავად);

ბ) საცხოვრებელის (ღამისთევისათვის) **დაქირავების ხარჯი -** <u>არაუმეტეს 50 ლარის</u> ოდენობით. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე (წინამდებარე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში).

3.2. ქვეყნის გარეთ გასაწევი ხარჯები:

ა) **დღიური ხარჯის სახით** - <u>არაუმეტეს 20 ევროს</u> ექვივალენტი ლარის ოდენობით (უქმე/სადღესასწაულო/გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების გამოურიცხავად);

ბ) **საცხოვრებლის** (ღამისთევისათვის) **დაქირავების ხარჯი -** - <u>არაუმეტეს 30 ევროს</u> ექვივალენტი ლარის ოდენობით.

3.3. **მგზავრობის ხარჯის სახით** (ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ) – განისაზღვრება შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს ე.წ. ,,ეკონომკლასის" (ან მისი შესაბამისი კლასის) ბილეთის ღირებულებისა, სტუდენტებისათვის დაწესებული მგზავრობის საშეღავათო ფასის გათვალისწინებით (არსებობის შემთხვევაში). საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით, დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.

3.4. ამ პუნქტის 3.1.-3.3. ქვეპუნქტებში აღნიშნული დღიური/მგზავრობის/საცხოვრებლის დაქირავების ხარჯები ღონისძიების/საველე პრაქტიკის მონაწილეს ჩაერიცხება მითითებულ საბანკო ანგარიშზე (**ხელზე მიღება**), ხოლო ბსუ-ს მიერ გათვალისწინებული იქნება და დამატებით ანაზღაურდება გადახდის წყაროსთან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაძლებელია ღონისძიების/საველე პრაქტიკის მონაწილეს განესაზღვროს (აუნაზღაუროს) ამ პუნქტის **3.1.-3.2. ქვეპუნქტებში აღნიშნულზე მეტი** ოდენობით **დღიური/საცხოვრებლის დაქირავების** ხარჯები, შესაბამისი საფუძვლის არსებობისა შემთხვევაში, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.